Diakonia International Humanitarian Law Centre Jerusalem

2023 წლის საომარი მოქმედებები და ძალადობის ესკალაცია პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (OPT)

| მოვლენების მიმოხილვა

მოვლენების ეს მიმოხილვა ეყრდნობა ამ დროისთვის არსებულ და დადასტურებულ ფაქტებს. გვერდი რეგულარულად განახლდება, რათა ადგილზე განვითარებული მოვლენები ასახოს. ბოლოს განახლდა 2023 წლის 6 ნოემბერს.

დოკუმენტი თარგმნა მარიამ ბეგაძემ

კონტექსტი: ვითარება ისრაელ-პალესტინაში 2023 წლის საომარ მოქმედებებამდე

პალესტინელებისთვის 1948 წლის ომს „კატასტროფა“ (ალ-ნაკბა) მოჰყვა, რომლის დროსაც დაახლოებით 700 000-მა პალესტინელმა დატოვა, ან გამოაძევეს საცხოვრებელი სახლიდან ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფ პალესტინის ტერიტორიაზე, ისრაელის სახელმწიფოს კი ამავე ომმა ‘დამოუკიდებლობა’ მოუტანა. ასობით პალესტინური სოფელი და ქალაქი გაიწმინდა. 1967 წლის ომმა პალესტინელების „უკუსვლა" (ალ-ნაქსა) გამოიწვია, რა დროსაც დაახლოებით 300 000-მა პალესტინელმა კვლავ დაკარგა სახლი, ხოლო ისრაელმა დასავლეთ სანაპიროს, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის (შემდგომში ისრაელმა მიმდებარე სოფლებთან ერთად მისი ანექსირებაც მოახდინა) და ღაზის სექტორის ოკუპაცია მოახდინა. ეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის დასახლებების შექმნის პოლიტიკის დასაბამი აღმოჩნდა.

2005 წელს ისრაელმა ღაზიდან გამოიყვანა ქვეითი ძალები და იქ არსებული დასახლებები, თუმცა შეინარჩუნა კონტროლის რამდენიმე საშუალება, მათ შორის საჰაერო სივრცეზე, ტერიტორიულ წყლებზე, სახმელეთო გამშვებ პუნქტებზე, და მოსახლეობის რეესტრზე. 2007 წლის ზაფხულში, ჰამასმა, პოლიტიკურმა მოძრაობამ შეირაღებული ფრთით, ძალადობრივი გზით მოიპოვა კონტროლი ღაზის სექტორზე, რის საპასუხოდაც, ისრაელმა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბლოკადა დააწესა.

მას შემდგომ, ჰუმანიტარული და ეკონომიკური სიტუაცია ღაზის სექტორში კატასტროფულია. ღაზაში 2 მილიონზე მეტი პალესტინელი ცხოვრობს, რომელთაგან ნახევარზე მეტი არასრულწლოვანია. ისრაელის სამხედრო ძალებსა და ღაზის სექტორის შეირაღებულ დაჯგუფებებს შორის პერიოდულ საომარ მოქმედებებს ადგილი ჰქონდა 2008-2009, 2012, 2014, 2021 და 2022 წლებში. პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ გაეროს იმჟამინდელმა სპეციალურმა მომხსენებლმა

მაიქლ ლინქმა 2018 წლის ოქტომბერში აღნიშნა, რომ „ეკონომიკით თავისუფალ ვარდნაში, ახალგაზრდებს შორის 70%-იანი უმუშევრობის დონით, ფართოდ დაბინძურებული სასმელი წყლით და ჩამოშლის პირას მყოფი ჯანდაცვის სისტემით, ღაზა საცხოვრებლად შეუსაბამო გახდა.“

ისრაელის აწ უკვე 56-წლიანი გახანგრძლივებული ოკუპაციის შედეგად, დიდი ხანია შეშფოთებას იწვევს სიტუაცია დასავლეთ სანაპიროზეც, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, რომელიც საგრძნობლად გაუარესდა წლის დასაწყისიდან; გაერო-მ დაადასტურა, რომ 2023 ყველაზე მომაკვდინებელი წელი იყო პალესტინელებისთვის, დასავლეთ სანაპიროზე 2005 წელს აღრიცხვის დაწყებიდან. გარდა ამისა, 2023 წლის იანვრიდან აგვისტომდე „[ისრაელელ] დასახლებულებთან დაკავშირებული ინციდენტების ყველაზე მაღალი დღიური საშუალო მაჩვენებელი“ დაფიქსირდა, რამაც 1105 პალესტინელის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. ისრაელის სამხედროებმა თებერვალში ნაბლუსის მახლობლად ქალაქ ჰუვარაში დასახლებულთა განსაკუთრებით შემზარავი თავდასხმა "პოგრომად" მოიხსენიეს. იმავდროულად, ისრაელის ისტორიაში ყველაზე ულტრამემარჯვენე მთავრობამ გააგრძელა ანექსიონისტური პოლიტიკა, ფინანსთა მინისტრმა და მინისტრმა თავდაცვის სამინისტროში ბეზალელ სმოტრიჩმა ამ წლის მაისში გამოაცხადა, რომ დასავლეთ სანაპიროზე (აღმოსავლეთ იერუსალიმის გამოკლებით) კიდევ 500 000 დასახლების განთავსება იგეგმებოდა. სხვა შემაშფოთებელ მოვლენებთან ერთად, დაძაბულობამ იმატა იერუსალიმშიც, ულტრანაციონალისტი ეროვნული უშიშროების მინისტრის, იტამარ ბენ-გვირის ტაძრის მთაზე/ჰარამ ალ-შარიფში რამდენიმე კონტროვერსიული ვიზიტის და ალ-აქსას მეჩეთთან ძალადობრივი საპოლიციო რეიდების პარალელურად.

„მწვანე ხაზის“ მეორე მხარეს, წლის დასაწყისიდან ათასობით ისრაელელი გამოდის ქუჩებში საპროტესტო აქციებზე ე.წ. ‘სასამართლო რეფორმის’ - მმართველი კოალიციის პოლიტიკურ-კონსტიტუციური წყობის შეცვლის გეგმის - წინააღმდეგ. კრიტიკოსები შიშობენ, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ძირს უთხრის სამართლის უზენაესობას, ძალაუფლების გამიჯვნას, ასევე სასამართლო ზედამხედველობას ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებზე და გრძელვადიან პერსპექტივაში მთავრობას საშუალებას მისცემს გააღრმავოს კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ისრაელის პალესტინელი მოქალაქეები ასევე აკრიტიკებენ ხელისუფლებას იმის გამო, რომ ვერ შეაჩერეს ძალადობრივი დანაშაულების ზრდა ისრაელელების დასახლებებში.

წლების განმავლობაში, ისრაელი, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია და ჰამასის მიერ კონტროლირებული დე ფაქტო მმართველობა ღაზაში სამოქალაქო საზოგადოების ჩახშობას ცდილობს.

ჰამასის მიერ მართული შეირაღებული ძალების დარტყმა ღაზიდან

2023 წლის 7 ოქტომბერს, გამთენიისას, ჰამასმა და სხვა შეიარაღებულმა ჯგუფებმა ღაზიდან რაკეტების სროლით ისრაელის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში თავდასხმის განხორციელება დაიწყეს. შეიარაღებულმა ჯგუფებმა ღაზის საზღვრის ღობე ისრაელის ტერიტორიაზე სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო გზით გადაკვეთეს, სადაც მათ დააზიანეს და დახოცეს ისრაელის სამხედრო ძალები და ისრაელელი და უცხოელი სამოქალაქო პირები, მათ შორის რეიმთან მუსიკალური ფესტივალის 260-ზე მეტი მონაწილე და კიბუც კფარ აზას და ბეერის მაცხოვრებლები. სამი დღის განმავლობაში სამხრეთ ისრაელის ქალაქებში შეიარაღებული შეტაკებები მიმდინარეობდა და მძევლების აყვანა ხდებოდა. ისრაელის არმიამ კონტროლი მხოლოდ 9 ოქტომბერს დაიბრუნა. ღაზაში გადაყვანილია 242 ისრაელელი და უცხოელი მძევალი (ისრაელის ხელისუფლების თანახმად), მათ შორის ჩვილები, ბავშვები და მოხუცები.

განურჩეველი სარაკეტო თავდასხმები ისრაელის ქალაქებზე, მათ შორის ლოდთან (ყოფილი ლიდა) ბენ გურიონის აეროპორტზე გრძელდება; ისრაელის ოფიციალური პირების თქმით, ივარაუდება, რომ 7 ოქტომბრის შემდეგ ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით გასროლილი რაკეტების საერთო რაოდენობა 7000-ს აღემატებოდა. 5 ნოემბრის მდგომარეობით (ისრაელის წყაროების თანახმად), ისრაელში დაღუპულთა საერთო რაოდენობა - აბსოლუტური უმრავლესობა თავდაპირველი თავდასხმის შედეგად - დაახლოებით 1400-ია, მათგან 1159 იდენტიფიცირებულია სახელით, მათ შორის 828 მშვიდობიანი მოქალაქე და 31 ბავშვი (მათგან ვისი ასაკიც მითითებული); სულ მცირე 5400-ზე მეტი პირი დაშავდა (რიცხვზე უთითებს ისრაელის წყაროები, ბოლოს OCHA-ის 2 ნოემბრის ანგარიშში).

გავრცელებული ანგარიშების თანახმად, გამოკითხულები აწყდებოდნენ „საშინელ სცენებს, მათ შორის ხანდაზმულთა ხოცვა-ჟლეტას და მშვიდობიანი მოქალაქეებით გადაჭედილ სისხლიან ოთახებს.“ ისრაელის არმიის წარმომადგენელი 7 ოქტომბერს უწოდებს „ყველაზე შემზარავ დღეს ისრაელის ისტორიაში“; შეერთებული შტატების (აშშ) პრეზიდენტი ჯო ბაიდენი საუბრობს "ებრაელებისთვის ყველაზე მომაკვდინებელ დღეზე ჰოლოკოსტის შემდეგ". გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისი (OCHA) ადასტურებს, რომ „დაღუპულთა რიცხვი სამჯერ აღემატება დაღუპულთა კუმულაციურ რაოდენობას მას შემდეგ, რაც OCHA-მ დაიწყო მსხვერპლების აღრიცხვა 2005 წელს (დაახლოებით 400)“. გავრცელებული ინფორმაციით, ჰამასის შეიარაღებული დაჯგუფებების 1500 წევრი დაიღუპა. როგორც იუწყებიან, ყატარის შუამავლობით, 20 ოქტომბერს, მძევლებიდან ორი, აშშ-ს მოქალაქეები, 59 და 17 წლის (დედა და ქალიშვილი) გაათავისუფლეს, რასაც 23 ოქტომბერს მოჰყვა ორი 79 და 85 წლის მოხუცი ქალის გათავისუფლებაც. 30 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისრაელის სამხედროებმა გაათავისუფლეს ისრაელელი ჯარისკაცი, რომელიც ჰამასის მიერ სახმელეთო რეიდის დროს იყო დაკავებული.

ისრაელის ხელისუფლების ცნობით, ქვეყნის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში დაახლოებით 200 000 ისრაელელია ევაკუირებული. ღაზი ჰამადი, ჰამასის მაღალჩინოსანი და ორგანიზაციის პოლიტბიუროს წევრი, სატელევიზიო ინტერვიუში ამბობს, რომ „ისრაელი არის ქვეყანა, რომლის ადგილიც არ არის ჩვენს მიწაზე“ და რომ 7 ოქტომბრის თავდასხმა „უბრალოდ პირველი შემთხვევაა და იქნება მეორე, მესამე, მეოთხე…”

პროტესტი ჰამასის მიერ დატყვევებული მძევლების გათავისუფლებაზე
ფოტო: იაჰელ გაზიტი, თელ ავივი, 2023.10.14. ყველა უფლება დაცულია.

ისრაელის მხრიდან ღაზის უპრეცედენტო დაბომბვა

თავდასხმის დღეს, ადგილობრივი დროით დილის 11 საათამდე ცოტა ხნით ადრე, ისრაელმა დაიწყო ფართომასშტაბიანი კონტრშეტევა ღაზის სექტორზე, პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ქვეყანა "ომშია"; მთავრობამ მეორე დღეს საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. ისრაელის არმია ახორციელებს მძიმე, თითქმის მუდმივ, "უპრეცედენტო" დაბომბვას ღაზაზე. 2023 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით (ღაზას ჯანდაცვის სამინისტროს თანახმად) დაიღუპა 9770 ღაზას მცხოვრები (მათ შორის 4008 ბავშვი და 2550 ქალი), და დაახლოებით 22911 დაშავდა (ღაზას ჯანდაცვის სამინისტროს თანახმად, ბოლოს OCHA-ს 2 ნოემბრის ანგარიშში). დაახლოებით 2260 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, მათ შორის 1270 ბავშვი, რომელთა უმრავლესობა „სავარაუდოდ ნანგრევების ქვეშ არის მოქცეული“, „ოჯახები მთლიანად“ განადგურდა - ივარაუდება, რომ 26 ოქტომბრის მდგომარეობით 1006-მა ოჯახმა დაკარგა ოჯახის რამდენიმე წევრი. Save the Children-ის თანახმად, 7-დან 29 ოქტომბრამდე ღაზაში 3195 ბავშვი დაიღუპა, რაც აღემატება „2019 წლიდან მსოფლიოს კონფლიქტურ ზონებში დაღუპული ბავშვების წლიურ რაოდენობას“. ისრაელის სამხედროები ამტკიცებენ, რომ მათ სამიზნეში ჰამასის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ჰყავთ აყვანილი, ხოლო სამხედრო სპიკერის 8 ოქტომბრის განცხადების თანახმად, "ისრაელის დაზვერვა მიუთითებს, რომ ჰამასი იმალება სამოქალაქო პირებს შორის, სახლებში და სკოლებში, საავადმყოფოებსა და მეჩეთებში". ისრაელი ურტყამს მაღალსართულიან შენობებს, მათ შორის საცხოვრებელ ბინებს, რიმალის უბანს ღაზაში, ჯაბალიისა და შატის ლტოლვილთა ბანაკებს, მათ შორის რაფაჰის გამშვები პუნქტის მიდამოებს მეზობელ ეგვიპტესთან, რაც ნგრევას და როგორც იუწყებიან, „ქალაქის სეგმენტების მთლიანად მიწასთან გასწორებას იწვევს“. 2023 წლის 23 ოქტომბრის მდგომარეობით დანგრეული და ნაწილობრივ დაზიანებული საცხოვრებელი სახლების საერთო რაოდენობა შესაბამისად 40 000-ზე და 220 000-ზე მეტია (მონაცემები ღაზას სექტორის საზოგადოებრივი სამუშაოების და საცხოვრისის სამინისტროს მონაცემებით, OCHA-ის 4 ნოემბრის ანგარიშში); OCHA-ს თანახმად, „მთელი უბნები განადგურდა“. ასევე არის ცნობები საავადმყოფოების, წყალგაყვანილობის და სანიტარული ინფრასტრუქტურის, სატელეკომუნიკაციო ხაზების, სკოლებისა და საგანმანათლებლო ობიექტების (რომელთა 51 პროცენტზე მეტი დაზიანებულია 4 ნოემბრის მდგომარეობით), მეჩეთების და ეკლესიების დაზიანების, ასევე ჟურნალისტებზე, სამედიცინო პერსონალზე და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებზე, ჰუმანიტარული დახმარების მუშაკებზე, მათ შორის გაეროს ახლო აღმოსავლეთში პალესტინელ ლტოლვილთა დახმარების სააგენტოს (UNRWA) თანამშრომლებზე ფატალური თავდასხმების შესახებ, რომელთაგან მინიმუმ 79 დაიღუპა (5 ნოემბრის განცხადების თანახმად, საუბარია 88 დაღუპულზე). UNRWA-ს 15 ოქტომბრით დათარიღებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ „დაღუპულთა რიცხვი იზრდება. ღაზაში მიცვალებულთათვის საკმარისი პარკებიც არ არის. როგორც იუწყებიან, დაახლოებით 100 ადამიანი დაკრძალეს რაფაში მასობრივ სასაფლაოზე „ამოცნობის პროცედურის ჩატარებამდე შესანახად საჭირო მაცივრების ნაკლებობის გამო“. OCHA საუბრობს „ცხედრების გახრწნის გამო გარემოს და ღირსების დაცვასთან შეუსაბამო შემაშფოთებელ გარემოებებზე“. ისრაელის საჰაერო ძალები აცხადებენ, რომ 7-დან 12 ოქტომბრამდე დაახლოებით 6000 სარაკეტო დარტყმა განხორციელდა ღაზაზე; არსებული ინფორმაციით, ლიბიაში ინტერვენციის დროს, რომელიც 2011 წლის მარტიდან ოქტომბრამდე გაგრძელდა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ (ნატო) დაახლოებით 7700 ბომბი ჩამოაგდო.

10 ოქტომბერს ისრაელის სამხედრო სპიკერმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ღაზას პარლამენტი და სამოქალაქო სამინისტროები ლეგიტიმურ სამიზნეებს წარმოადგენენ „თუ იქიდან შეიარაღებული პირი რაკეტებს ისვრის“ და მიუთითებს შემცირებულ „ერთგულების

დონეზე“ თავდასხმის წინ სამოქალაქო პირების გაფრთხილებასთან მიმართებით. იმავე დღეს სამხედროები აცხადებდნენ, რომ დაბომბვისას „აქცენტი კეთდება დაზიანებაზე და არა სიზუსტეზე“. ჰამასი იმუქრება, რომ გაფრთხილების გარეშე სამოქალაქო პირებზე ფატალურ თავდასხმებზე საპასუხოდ მძევლების სიკვდილით დასჯას დაიწყებს. 12 ოქტომბერს, Human Rights Watch (HRW), ხოლო მალევე Amnesty International იუწყებოდა, რომ ისრაელის სამხედროებმა გამოიყენეს თეთრი ფოსფორი, თვითაალებადი იარაღი, რაც მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ზიანის მიყენების კუთხით უკიდურეს შეშფოთებას იწვევს. ისრაელის სამხედროები ამ ბრალდებას უარყოფენ. ექიმმა გასან აბუ სიტამ, ალ-შიფას საავადმყოფოს ქირურგმა, დაადასტურა, რომ მკურნალობდა დამწვრობის მქონე პაციენტებს, რაც, მისი აზრით, დამახასიათებელია თეთრი ფოსფორის ზემოქმედებისას.

ღაზაში ალ ალჰის საავადმყოფოს ეზოს ხედი. ფოტო: მუჰამედ ზაანოუნი, 18 ოქტომბერი 2023. ყველა უფლება დაცულია

ისრაელის პრეზიდენტის ისააკ ჰერცოგის მოსაზრებით, „მთელი ერი პასუხისმგებელია. რიტორიკა მშვიდობიანი მოსახლეობის შესახებ ... რომ მათ არ იციან, არ არიან ჩართული, ეს აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. მათ შეეძლოთ წინააღმდეგობა, მათ შეეძლოთ ებრძოლათ ამ ბოროტ რეჟიმთან, რომელმაც სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაიპყრო ღაზა“. 13 ოქტომბერს ისრაელის არმიამ განაცხადა, რომ განხორციელდა "ლოკალიზებული რეიდები ღაზაში". გავრცელებული ინფორმაციით, ჰამასმა გალილეისკენ შორი დისტანციის რაკეტა ისროლა. 14 ოქტომბერს ისრაელის სამხედროები აცხადებდნენ, რომ ემზადებიან ახალი ეტაპისთვის, მათ შორის "მნიშვნელოვანი სახმელეთო ოპერაციებისთვის". 17 ოქტომბერს ისრაელმა UNRWA-ს სკოლა ალ-მაღაზის ლტოლვილთა ბანაკს დაარტყა, რის შედეგადაც დაიღუპა სულ მცირე ექვსი ადამიანი, დაშავდა ათობით, მათ შორის UNRWA-ს თანამშრომლები, ასევე სერიოზულად დაზიანდა შენობა. UNRWA-ს მონაცემებით, იქ დაახლოებით 4000 ღაზელი აფარებდა თავს, რომლებსაც „სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდათ და ჯერაც არ აქვთ“; UNRWA „ყოველდღიურად აწვდის შესაბამის მხარეებს თავისი ობიექტების კოორდინატებს“. 19 ოქტომბერს ისრაელის სამხედროების მხრიდან წმინდა პორფირიუსის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დარტყმის შედეგად ღაზას ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, 16 ადამიანი დაიღუპა. ეკლესიას ასობით ადამიანი აფარებდა თავს. 19 ოქტომბრის განცხადებაში, იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო გმობს საჰაერო თავდასხმას და ხაზს უსვამს,

რომ „ეკლესიებისა და მათი დაწესებულებების დამიზნება, იმ თავშესაფრებთან ერთად, რომლებშიც უდანაშაულო მოქალაქეები არიან შეფარებული … წარმოადგენს ომის დანაშაულს, რომელიც არ შეიძლება იგნორირებული იყოს“. 20 ოქტომბერს თავდაცვის მინისტრმა გალანტმა განაცხადა, რომ ისრაელის სამხედრო კამპანია ღაზაში დასრულდება „ღაზას სექტორში უსაფრთხოების ახალი რეჟიმის შექმნით, ღაზას სექტორში მცხოვრებლებზე ისრაელის პასუხისმგებლობის მოხსნით და ისრაელის მოქალაქეებისთვის ახალი უსაფრთხოების რეალობის შექმნით.“ 21 ოქტომბერს ისრაელის არმიამ განაცხადა, რომ გააძლიერებს საჰაერო თავდასხმებს ღაზაზე. 22 ოქტომბერს, ღაზაში რეიდის დროს დაიღუპა ისრაელელი სამხედრო. 25 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰამასმა შორი დისტანციური რაკეტები გაისროლა ჰაიფას მიმართულებით ისრაელის ჩრდილოეთში და ეილათისკენ სამხრეთით. ჰამასის ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ცეცხლის შეწყვეტამდე მძევლებს აღარ გაათავისუფლებენ.

27 ოქტომბერს ისრაელის მძიმე საჰაერო თავდასხმების შემდეგ, რომლის შედეგადაც, გავრცელებული ინფორმაციით, მთავარი სატელეკომუნიკაციო ანძა დაზიანდა, ღაზას სექტორში „სახმელეთო, ფიჭური და ინტერნეტის სერვისები“ შეწყდა. მიუხედავად ჰუმანიტარული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ არაერთი მოწოდებისა, ისრაელის მხრიდან დაბომბვა და სახმელეთო იერიშები ღაზას სექტორში უფრო ინტენსიური გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, შტაბის უფროსმა ჰერცლ ჰალევიმ 28 ოქტომბერს განაცხადა, რომ „ომის მიზნებისთვის საჭიროა სახმელეთო ოპერაცია“. იმავე დღეს, ისრაელის პრემიერ მინისტრმა ნეთანიაჰუმ საჯარო მიმართვაში დაადასტურა „სახმელეთო შეჭრის გაფართოება“ როგორც საომარი მოქმედებების ახალი ეტაპის ნაწილი, რომელსაც ის ისრაელის „დამოუკიდებლობის მეორე ომად“ მოიხსენიებს. ნეთანიაჰუ ასევე აცხადებს: „უნდა გახსოვდეთ, რა გაგიკეთათ ამალეკელებმა, ამბობს ჩვენი წმინდა ბიბლია, და ჩვენც გვახსოვს და ვიბრძვით“. ის მთავარ ბიბლიურ მტერზე ისრაელიტებისთვის - ამალეკელებზე - მიუთითებს, რომლებსაც ისრაელიტები უნდა გაენადგურებინათ და მათი ხსოვნა ამოეძირკვათ. გავრცელებული ინფორმაციით, 29 ოქტომბრიდან ღაზაში კომუნიკაციები "ეტაპობრივად აღდგება", როგორც ჩანს, აშშ-ს ზეწოლის შედეგად.

30 ოქტომბერს ნეთანიაჰუმ კატეგორიული უარი განაცხადა კიდევ უფრო გახშირებულ მოწოდებებზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. შემდეგ დღეს, ისრაელის სამხედროებმა კვლავ დაარტყეს მჭიდროდ დასახლებულ ჯაბალიას ლტოლვილთა ბანაკს, რამაც OCHA-ს თანახმად, "გაანადგურა მთელი კვარტალი 30 საცხოვრებელი კორპუსით", და ათობით მსხვერპლი გამოიწვია; ჯაბალიაზე შემდგომი დარტყმები პირველ ნოემბერს განხორციელდა. ამავე დღეს, ღაზაში ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტ სერვისები რამდენიმე საათის განმავლობაში კვლავ შეფერხდა. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ბორელ ფონტელესმა განაცხადა, რომ ეყრდნობა რა ევროკავშირის პოზიციას, რომ „ისრაელს აქვს უფლება დაიცვას თავი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად და უზრუნველყოს ყველა მშვიდობიანი მოქალაქის დაცვა“, ის შეძრწუნებულია მსხვერპლის მასშტაბით, რაც ისრაელის მიერ ჯაბალიას ლტოლვილთა ბანაკის დაბომბვას მოჰყვა. UNRWA-ის წარმომადგენლობის დირექტორმა ნიუ-იორკში გაიმეორა ორგანიზაციის მოწოდება „დაუყოვნებლივი ჰუმანიტარული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ გაეროს გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტის წინაშე. ისრაელის სამხედროები აცხადებენ, რომ ჯარისკაცებმა მიაღწიეს "ღაზას ქალაქის კარიბჭეს".

2 ნოემბერს გაეროს რამდენიმე ექსპერტმა გაავრცელა გაფრთხილება, რომ „პალესტინელ ხალხს გენოციდის სერიოზული საფრთხე ემუქრება“ და დაადასტურა, რომ ჯაბალიას ლტოლვილთა ბანაკში საცხოვრებელ კომპლექსზე „ისრაელის საჰაერო თავდასხმა არის საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა და ომის დანაშაული“. იმავე დღეს, ისრაელის სამხედროებმა დაარტყეს UNRWA-ს ოთხ ობიექტს, სადაც თითქმის 20,000 ადამიანი აფარებდა თავს, რის შედეგადაც დაიღუპა მინიმუმ 23 და დაშავდა ათობით ადამიანი. UNRWA გაავრცელა 72 თანამშრომლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვიდეო, რომლებიც

დაიღუპნენ ისრაელის საჰაერო თავდასხმების დროს 7 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე, რაც „ასეთ მოკლე პერიოდში გაეროს პერსონალის დაღუპვის ყველაზე დიდი მაჩვენებელია.“ გავრცელებული ინფორმაციით, 3 ნოემბერს ისრაელმა დაარტყა სასწრაფო დახმარების მანქანების კოლონას, რომელიც მიდიოდა რაფაჰის გადასასვლელისკენ, ღაზას ქალაქ ალ-შიფას საავადმყოფოს სიახლოვეს, რის შედეგადაც დაიღუპა მინიმუმ 13 ადამიანი და დაშავდა 26. ისრაელის სამხედროები აცხადებენ, რომ სამიზნე "ჰამასის ტერორისტული დაჯგუფება" იყო; გავრცელებული ინფორმაციით, დაზიანებულია ალ-ქუდსის ჰოსპიტალი ღაზაში და ინდონეზიური საავადმყოფო ბეიტ ლაჰიაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ავრცელებს განცხადებას, სადაც ხაზგასმულია, რომ „ჯანდაცვის სისტემაზე თავდასხმები, მათ შორის საავადმყოფოებზე მიზანმიმართული დარტყმები და ისეთი აუცილებელი დახმარების მიწოდების შეზღუდვა, როგორიცაა სამედიცინო მარაგი, საწვავი და წყალი, შეიძლება იყოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა“. გავრცელებული ინფორმაციით, 4 ნოემბერს ისრაელის სამხედროებმა დაარტყეს ალ-ქუდსის საავადმყოფოს მისაღებ სივრცეებს, სადაც თავს აფარებდა დაახლოებით 14,000 იძულებით გადაადგილებული პირი, ასევე ნასერის ბავშვთა საავადმყოფოს, ორივე მდებარეობს ქალაქ ღაზაში.

ექიმმა, რომელიც მუშაობს ორგანიზაციაში ექიმები საზღვრებს გარეშე (MSF) განუცხადა ჟურნალისტებს, რომ სამედიცინო პერსონალმა გამოყო კატეგორია „დაჭრილი ბავშვი გადარჩენილი ოჯახის გარეშე“ ობლად დარჩენილი მრავალი ბავშვისთვის ღაზაში. 5 ნოემბერს, ამიჰაი ელიაჰუმ, ისრაელის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მინისტრმა, რადიო ინტერვიუში ღაზაში ბირთვული ბომბის ჩამოგდების შესაძლებლობაზეც ისაუბრა, მოგვიანებით, როგორც ჩანს, მან უკან წაიღო ეს განცხადება და სოციალურ მედიაში ახსნა, რომ ეს „მეტაფორული“ მნიშვნელობით იყო ნათქვამი; მას განუსაზღვრელი ვადით შეუჩერდა კაბინეტის სხდომებში მონაწილეობის უფლებამოსილება. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბლინკენი შეხვდა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის პრეზიდენტს მაჰმუდ აბასს რამალაში, რომელმაც გამოხატა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მზადყოფნა „აიღოს ... პასუხისმგებლობა ყოვლისმომცველი პოლიტიკური გადაწყვეტის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს მთელ დასავლეთ სანაპიროს, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმს და ღაზის სექტორს“. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰამასი აცხადებს, რომ ისრაელის საჰაერო თავდასხმების გამო 60-ზე მეტი მძევალი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ისრაელის სამხედროებმა 5 ნოემბერს გამოაცხადეს, რომ მათ დაასრულეს ღაზის სექტორის დაყოფა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად და ალყა შემოარტყეს ღაზას ქალაქს ჩრდილოეთით. იმავე დღეს, გაეროს მუდმივმოქმედმა უწყებათაშორის კომიტეტმა, რომელიც წარმოადგენს გაეროს სხვადასხვა უწყებას და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოხატულია „უკიდურესი შეშფოთება დაღუპული და განადგურებული ადამიანების მზარდი რაოდენობის გამო“, როგორც ისრაელში შეიარაღებული ჯგუფების თავდასხმების შედეგად, ასევე ღაზას სექტორში, სადაც „მთელი მოსახლეობა ალყაშია და თავდასხმის ქვეშაა, არ მიუწვდება ხელი გადარჩენისთვის საჭირო ნივთებზე, მათი სახლები, თავშესაფრები, საავადმყოფოები და სალოცავი ადგილები იბომბება“, სადაც დაიღუპა UNRWA-ს 88 თანამშრომელი, რაც „ერთი კონფლიქტის ფარგლებში გაეროს წარმომადგენლების დაღუპვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია“. განცხადება ასე მთავრდება: „აუცილებელია დაუყონებლივ გამოცხადდეს ჰუმანიტარული ცეცხლის შეწყვეტა. 30 დღე გავიდა. საკმარისია. ცეცხლი უნდა შეწყდეს ახლა“.

შემაშფოთებელი მაჩვენებლები:

• ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის (CPJ) მონაცემებით, 7-დან 27 ოქტომბრამდე სულ მცირე 29 ჟურნალისტი დაიღუპა, რაც „კონფლიქტის ზონებში ჟურნალისტების სიკვდილიანობის კუთხით ყველაზე სასიკვდილო პერიოდია მას შემდგომ, რაც CPJ-იმ დაიწყო აღრიცხვა 1992 წელს“; 6 ნოემბრის მდგომარეობით, ჟურნალისტებსა და მედიის მუშაკებს შორის დაღუპულთა რიცხვი 36-ს შეადგენს.

• Save the Children-ის 29 ოქტომბრის განცხადების თანახმად, 7 ოქტომბრის შემდეგ ღაზაში 3195 ბავშვი დაიღუპა, რაც „ბოლო სამი წლის მანძილზე ერთი წლის განმავლობაში 20-ზე მეტ ქვეყანაში შეიარაღებულ კონფლიქტებში გლობალურად დაღუპულთა რიცხვს აღემატება“; 5 ნოემბრის მდგომარეობით, ღაზაში დაღუპული ბავშვების საერთო რაოდენობა 4008-ს შეადგენს, დაახლოებით 1270 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, რომელთაგან ბევრი, სავარაუდოდ, ნანგრევების ქვეშ არის მოქცეული (ღაზას ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად).

• გაეროს და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების 5 ნოემბრის განცხადების თანახმად, 7 ოქტომბრის შემდეგ UNRWA-ს 88 თანამშრომელი დაიღუპა, რაც „ერთი კონფლიქტის ფარგლებში გაეროს წარმომადგენლების დაღუპვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.“

ალ-აჰლის ჰოსტიპალზე საჰაერო თავდასხმა, 2023 წლის 17 ოქტომბერი

17 ოქტომბრის საღამოს გავრცელდა ინფორმაცია ღაზას ქალაქ ალ-აჰლის ჰოსპიტალში ძლიერი აფეთქების შესახებ, რის შედეგადაც ასობით ადამიანი დაიღუპა. ფოტომასალაში გამოსახული იყო „საავადმყოფოს შენობა ცეცხლში, დამსხვრეული მინები და მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტული სხეულის ნაწილები." ღაზას ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, აფეთქებას, რომელიც ისრაელის საჰაერო თავდასხმით იყო გამოწვეული, 500 ადამიანი ემსხვერპლა; მათ მოგვიანებით შეასწორეს დაღუპულთა რაოდენობა 471-მდე. ისრაელის სამხედროები, რომლებიც საომარი მოქმედებების დაწყებიდან თითქმის მუდმივად მძიმედ ბომბავდნენ ღაზის სექტორს, ანადგურებდნენ ლტოლვილთა ბანაკებსა და დასახლებულ უბნებს, უარყოფენ პასუხისმგებლობას და მიუთითებენ, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა პალესტინის ისლამური ჯიჰადის (PIJ) შეირაღებული ჯგუფის მიერ რაკეტის წარუმატებელ გასროლას მოჰყვა.

PIJ უარყოფს ამ ბრალდებას და ამტკიცებს, რომ ისრაელი „ძალიან ცდილობს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას სასტიკ ხოცვა-ჟლეტაზე“ „ტყუილების შეთხზვით“; ისინი აღნიშნავენ, რომ ისრაელმა მანამდე უკვე დაბომბა საავადმყოფო და იგი ექვემდებარებოდა ისრაელის სამხედრო ძალების მითითებას რელოკაციის შესახებ. 18 ოქტომბერს ისრაელის არმიის სპიკერმა განაცხადა, რომ ჰამასმა „იცოდა, ეს იყო პალესტინის ისლამური ჯიჰადის წარუმატებელი გასროლა, და დაიწყო გლობალური მედია კამპანია მსხვერპლის გაბუქებული რაოდენობით“. სამხედროებმა გაავრცელეს ვიდეო, რომელშიც, მათი მტკიცებით, ჩანს „კადრები საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან ტერორისტული ორგანიზაციის ისლამური ჯიჰადის წარუმატებელი რაკეტის გაშვებამდე და შემდეგ“, სადაც არ ჩანს „კრატერების შესამჩნევი ნიშნები ან შენობების მნიშვნელოვანი დაზიანება“, რაც მოსალოდნელი იქნებოდა ისრაელის საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) აცხადებს, რომ ალ-აჰლის ჰოსპიტალის „ევაკუაცია“ „შეუძლებელი იყო არსებული უსაფრთხოების, მრავალი პაციენტის კრიტიკული მდგომარეობის, სასწრაფო დახმარების მანქანების, სამედიცინო პერსონალის, საავადმყოფო საწოლებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ალტერნატიული თავშესაფრის

ნაკლებობის გათვალისწინებით.“

აფეთქების შემდეგ, გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერესმა „ახლო აღმოსავლეთში დაუყოვნებლივ ჰუმანიტარულ ცეცხლის შეწყვეტაზე” მოწოდება გააკეთა „უპრეცედენტო ადამიანური ტანჯვის შესამსუბუქებლად“. რეგიონის რამდენიმე ქვეყანა გლოვის დღეებს აცხადებს. საპროტესტო აქციები იმართება მათ შორის ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე, ლიბანსა და იორდანიაში, სადაც დემონსტრანტები ცდილობენ შტურმით შეაღწიონ ისრაელის საელჩოში. გავრცელებული ინფორმაციით, რამალაში პალესტინის ეროვნულის ადმინისტრაციის უსაფრთხოების ძალებმა მომიტინგეები შოკური მოქმედების ყუმბარებითა და ცრემლსადენი გაზით დაარბიეს; მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა ჯენინში, ნაბლუსსა და ტუბასში. ლიბანის შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ჰეზბოლამ "მტრის წინააღმდეგ გაბრაზების დღეზე" გააკეთა მოწოდება.

ამ მოვლენების ფონზე, აშშ-ს პრეზიდენტ ჯო ბაიდენის, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის, ეგვიპტის პრეზიდენტ აბდელ ფატაჰ ალ-სისის და იორდანიის მეფე აბდულა II-ის მონაწილეობით 18 ოქტომბერს ღაზაში არსებული ვითარების განსახილველად დაგეგმილი ამანის სამიტი გაუქმდა. გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი აცხადებს, რომ „ინციდენტის საფუძვლიანი გამოძიება აუცილებელია“.

პალესტინელები კვეთენ დატბორილ გზას, რომელიც ისრაელის მიერ მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად დაზიანდა. ფოტო: მუჰამედ ზაანოუნი, ბეით ლაჰიია, ღაზა 2023.10.09. ყველა უფლება დაცულია.

ისრაელში პრემიერ მინისტრ ნეთანიაჰუსთან შეხვედრის დროს ბაიდენმა განაცხადა, რომ „იმაზე დაყრნობით, რაც მან ნახა, როგორც ჩანს, ეს სხვა მხარემ გააკეთა და არა თქვენ, მაგრამ არსებობს უამრავი ადამიანი, ვინც არ არის დარწმუნებული“. აშშ-ს დაზვერვის ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მედიისთვის, მიუთითებს, რომ "ისრაელი არ იყო პასუხისმგებელი" და საავადმყოფოში აფეთქების შედეგად დაახლოებით 100-დან 300-მდე ადამიანი დაიღუპა.

ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუ რამ გამოიწვია აფეთქება, რამდენიმე ანალიზი განსხვავებულ მითითებებს აკეთებს. 19 ოქტომბერს ალ-ჯაზირას მიერ გამოქვეყნებული ვიდეო-გამოძიება მიუთითებს, რომ ღაზადან გაშვებული რაკეტა, რომელიც ვიდეოჩანაწერებზე ჩანს და რომელიც, ისრაელის სამხედროების მტკიცებით, წარუმატებლად იქნა გასროლილი, აფეთქებამდე ისრაელის რკინის გუმბათის სარაკეტო თავდაცვის სისტემამ შეაკავა.

Associated Press-ის ანალიზი, რომელიც 21 ოქტომბერს გამოქვეყნდა, ასკვნის, რომ „საავადმყოფოში აფეთქება, დიდი ალბათობით, გამოწვეული იყო [გამოძიების ფარგლებში გამოკვლეულ მასალებზე ხილული] რაკეტის ნაწილის მიწასთან შეჯახებით“. Wall Street Journal-ის ვიდეო ანალიზი მტკიცედ ვარაუდობს, რომ "აფეთქება გამოწვეული იყო ღაზიდან გაშვებული წარუმატებელი რაკეტით". საფრანგეთის და კანადის ხელისუფლებები ანალოგიურად წარუმატებელი რაკეტის გაშვებას უფრო სავარაუდო მიზეზად მიიჩნევენ ვიდრე ისრაელის საჰაერო თავდასხმას.

The New York Times მიუთითებს როგორც ისრაელის სამხედროების, ისე ღაზაში ჰამასის მიერ კონტროლირებადი დე ფაქტო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ვერსიების შეუსაბამობებზე და განსაკუთრებით კრიტიკულია ამ უკანასკნელის მტკიცების მიმართ, რომ „რაკეტა წყალში მარილივით დაიშალა“, და ჭურვი არ დარჩა შესამოწმებლად, რასაც „ექსპერტები გამორიცხავენ“. 24 ოქტომბერს, აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ აქვთ "დიდი ნდობა" იმ შეფასებისადმი, რომ აფეთქების მიზეზი ღაზიდან შეიარაღებული ჯგუფების მიერ გაშვებული წარუმატებელი რაკეტა გახდა.

ექსპერტები ძირითადად თანხმდებიან, რომ შეუძლებელია საბოლოო დასკვნის გამოტანა საფუძვლიანი, დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებამდე და აფეთქების ადგილიდან მტკიცებულებების გაანალიზებამდე, რაც მიმდინარე საომარი მოქმედებების გათვალისწინებით უახლოეს მომავალში ნაკლებ მოსალოდნელია.

16 წლიანი ბლოკადის შემდგომ ისრაელი ღაზას სრულ ალყაში აქცევს

9 ოქტომბერს ისრაელის თავდაცვის მინისტრმა იოავ გალანტმა ბრძანება გასცა ღაზას "სრული ალყის" შესახებ და დააკონკრეტა, რომ "ელექტროენერგია, საკვები, წყალი, საწვავი, ყველაფერი დაკეტილი იქნება". ის აცხადებს, რომ ისრაელი "ებრძვის ადამიან ცხოველებს და ჩვენც შესაბამისად ვმოქმედებთ". 7 ოქტომბერს ისრაელმა უკვე გათიშა ელექტროენერგია და საწვავი. 11 ოქტომბრის 14:00 საათიდან ღაზის სექტორი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. 11 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ, თავდაცვის მინისტრმა იოავ გალანტმა და ნეთანიაჰუს კონკურენტმა ბენი განცმა - კაჰოლ ლავანის ოპოზიციური პარტიის ლიდერმა, რომელიც ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ისრაელის სამხედრო შტაბის უფროსია - შექმნეს საგანგებო ომის კაბინეტი. გალანტი პირობას დებს, რომ „[ჰამასს] აღგვის პირისაგან მიწისა“. ისრაელი დაახლოებით 360 000 რეზერვისტის მობილიზებას ახდენს და დაახლოებით 100 000 ჯარისკაცს გზავნის ღაზას მახლობლად, რაც ზრდის სახმელეთო შეჭრის პერსპექტივას. 12 ოქტომბერს, ისრაელის სამხედრო შტაბის უფროსმა, ჰერცი ჰალევიმ პირობა დადო, რომ „ღაზა არასოდეს იქნება იგივე“. იმავე დღეს ისრაელ კატცმა, ისრაელის ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ მძევლების გათავისუფლებამდე „ელექტროენერგია და წყალი არ ჩაირთვება, არც საწვავის სატვირთო მანქანა შევა“ - პოზიცია, რომელსაც, როგორც ცნობილია, იზიარებს თავდაცვის მინისტრი გალანტიც. ჰამასმა არაერთხელ განაცხადა, რომ ისრაელის თავდასხმებმა ღაზაზე რამდენიმე მძევალის სიცოცხლე იმსვერპლა. 14 ოქტომბერს UNRWA-მ გასცა გაფრთხილება, რომ „ღაზას სექტორში სუფთა წყალი იწურება მას შემდეგ, რაც წყალგაყვანილობებმა შეწყვიტეს მუშაობა“; გავრცელებული ინფორმაციით, ღაზას მაცხოვრებლები იძულებულნი არიან მოიხმარონ „სასოფლო-სამეურნეო ჭების მლაშე წყალი“. ჰუმანიტარული ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამენ, რადგან სუფთა წყლის ნაკლებობა მკვეთრად ზრდის ისეთი ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს, როგორიცაა ქოლერა.

გაეროს მონაცემებით, ღაზის მოსახლეობას მხოლოდ სამი ლიტრი წყალი აქვს, როდესაც რეკომენდებული მინიმალური ოდენობა 50-დან 100 ლიტრამდეა; ილუსტრაციისთვის, გაერთიანებულ სამეფოში (დიდი ბრიტანეთი) ზრდასრული ადამიანი დღეში დაახლოებით 142 ლიტრ წყალს მოიხმარს. 22 ოქტომბერს, UNRWA-ის გენერალურმა კომისარმა ფილიპ ლაზარინიმ გაფრთხილება გასცა, რომ ღაზაში საწვავი სამ დღეში ამოიწურება, რაც ნიშნავს „უწყლობას, უფუნქციო საავადმყოფოებს და საცხობებს“, ასევე „ჰუმანიტარული დახმარების შეუძლებლობას“. გამოქვეყნებული ანგარიშების თანახმად, წყლის, საწვავის, ელექტროენერგიის და სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტის გამო, ექიმები იძულებულნი არიან, ოპერაცია პაციენტებს საკმარისი ანესთეზიის გარეშე გაუკეთონ, გამოიყენონ „ტანსაცმელი სახვევისთვის, ძმარი ანტისეპტიური, საკერავი ნემსები კი ქირურგიული დანიშნულებით“. ეს სურათის მხოლოდ მცირე ნაწილია: ღაზას ჯანდაცვის მთელი სისტემა "კოლაფსის ზღვარზეა".

იძულებით გადაადგილება და უპრეცედენტო ჰუმანიტარული კატასტროფა

ღაზაში სახლებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება, წყლის, საკვების, ელექტროენერგიის და საწვავის დეფიციტი, ისევე როგორც თითქმის მუდმივი ძლიერი დაბომბვის საფრთხე, 5 ნოემბრის მდგომარეობით, 1,5 მილიონზე მეტი პალესტინელის იძულებით გადაადგილებას იწვევს, რომელთა ნახევარზე მეტი UNRWA-ს შენობებში აფარებს თავს. 10 ოქტომბერს ეგვიპტემ ღაზას მაცხოვრებლებისთვის რაფაჰის გადასასვლელი განუსაზღვრელი ვადით დახურა; მანამდე ისრაელის სამხედრო ძალებმა ღაზის მოსახლეობას დაბომბვისგან თავის დასაღწევად ამ გადასასვლელის გავლისკენ მოუწოდეს. 8 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით, რაფაჰის გადასასვლელი სრულად ჩაკეტილია (ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ეს და არაერთხელ განმარტა, რომ გადასასვლელი დაზიანდა ისრაელის საჰაერო თავდასხმების შედეგად), ხოლო ერეზის და კერემ შალომის გადასასვლელები დაკეტილი იყო 7 ოქტომბერს საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე. გავრცელებული ინფორმაციით, 13 ოქტომბერს ისრაელის არმიამ ჩრდილოეთ ღაზას 1 მილიონზე მეტ მაცხოვრებელს სამხრეთით გადასვლისკენ მოუწოდა, რამაც გამოიწვია საერთაშორისო შეშფოთება და წუხილი გარდაუვალ სახმელეთო შეტევასთან დაკავშირებით. ღაზას ყველაზე დიდი საავადმყოფო ალ-შიფა მდებარეობს ქალაქ ღაზის ამ მხარეში. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერესმა გასცა გაფრთხილება იმის შესახებ, რომ "მჭიდროდ დასახლებულ საომარ ზონაში მილიონზე მეტი ადამიანის გადაადგილება... უკიდურესად საშიშია", შესაძლოა "შეუძლებელიც" იყოს, და მოუწოდა ისრაელის ხელისუფლებას "გადაეხედა ამ გადაწყვეტილებისთვის", მაშინ როცა მრავალი ორგანიზაცია, მათ შორის WHO, Amnesty International და UNICEF ითხოვენ ბრძანების დაუყოვნებლივ გაუქმებას. ბევრ პალესტინელს ეშინია ნაკბის განმეორების. ღაზაში მცხოვრები პალესტინელების უმრავლესობა ლტოლვილია ან იმ ლტოლვილების შთამომავალია, რომლებმაც 1948 წლის ომის დროს დატოვეს საცხოვრებელი სახლები. 1948 წლის ომს მოჰყვა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და ბრიტანეთი მანდატის ქვეშ მყოფი პალესტინის ტერიტორიიდან 700 000 პალესტინელის მასობრივი გადაადგილება. Amnesty International-ის მიერ გამოკითხული ერთ-ერთი მცხოვრები აღნიშნავს: „2023 წელს დავიძინეთ და 1948 წელს გავიღვიძეთ“.

ისრაელის მიერ განხორციელებული საჰაერო თავდასხმის შედეგად დანგრეული შენობების ფოტო, მუჰამედ ზაანოუნი, ჯაბალია, ღაზა, 2023.10.11. ყველა უფლება დაცულია.

UNRWA თავისი უცხოელი პერსონალის და ცენტრალური ოპერაციული ცენტრის რელოკაციას ახდენს ღაზას სამხრეთით და მოუწოდებს ისრაელის სამხედროებს „დაიცვან ყველა მშვიდობიანი მოქალაქე UNRWA-ს თავშესაფრებში, სკოლების ჩათვლით“. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ კრიტიკულად დაავადებული პაციენტების გადაყვანა ჩრდილოეთ ღაზას საავადმყოფოებიდან "სასიკვდილო განაჩენია" და "სამედიცინო მუშაკებისგან ამის მოთხოვნა სისასტიკის მიღმაა". იმავე დღეს, MSF იტყობინება, რომ ორი საათი მიეცათ ჩრდილოეთ ღაზას ალ-ავდას საავადმყოფოს „ევაკუაციისთვის“, რომელიც შემდეგ გადაიდო ადგილობრივი დროით 14 ოქტომბრის დილის 6 საათამდე. ჰამასი მოუწოდებს ღაზას მოსახლეობას „ურყევად დარჩნენ [თავიანთ] სახლებში და მტკიცედ დადგნენ ამ ამაზრზენი ფსიქოლოგიური ომის წინაშე, რომელსაც საოკუპაციო ძალები აწარმოებენ“. გავრცელებული ინფორმაციით, 12 ოქტომბერს ეგვიპტის პრეზიდენტმა აბდელ ფატაჰ ალ-სისიმ განაცხადა, რომ ღაზაში მყოფი პალესტინელები „მტკიცედ უნდა დარჩნენ თავიანთ მიწაზე“. ღაზას მოსახლეობას, როგორც ჩანს, ორი გზა რჩება: მასობრივი გადასახლება, რაც ბევრ მათგანს ახსენებს ნაკბას მტკივნეულ მოგონებებს, ან საკუთარ სახლებში დაბომბვის ქვეშ დარჩენა.

12 ოქტომბერს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა (ICRC) გასცა გაფრთხილება, რომ ”ელექტროენერგიის გარეშე საავადმყოფოები მორგებად გადაქცევის რისკის ქვეშ არიან”. UNRWA-ის გენერალური კომისარი ფილიპ ლაზარინი იძლევა გაფრთხილებას, რომ ღაზა "ჯოჯოხეთის ხვრელად იქცა და კოლაფსის ზღვარზეა". 14 ოქტომბერს ისრაელის არმია აცხადებს, რომ ღაზას მოსახლეობას ადგილობრივი დროით საღამოს 4 საათამდე უსაფრთხოდ გადაადგილების საშუალებას მისცემს; გავრცელებული ინფორმაციით, ათიათასობით ღაზელი სამხრეთისკენ მიდის. არსებობს ნიშნები, რომ დევნილი მშვიდობიანი მოქალაქეები შესაძლოა თავდასხმის ქვეშ აღმოჩნდნენ. 16 ოქტომბერს ევროკავშირმა განაცხადა, რომ მუშაობს საჰაერო ხიდით ეგვიპტის გავლით ღაზაში ჰუმანიტარული მარაგების გადასატანად. იორდანიის მეფე აბდულა II მიუთითებს, რომ არც მის ქვეყანას და არც ეგვიპტეს არ სურთ ღაზადან ლტოლვილების მიღება. 18 ოქტომბერს ისრაელის სამხედროებმა მოუწოდეს ჩრდილოეთ ღაზის მაცხოვრებლებს "ევაკუაციისკენ ალ-მავასის ტერიტორიისკენ", სადაც, მათი თქმით, "საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება საჭიროებისამებრ იქნება უზრუნველყოფილი". 17 ოქტომბერს, OCHA-ის მტკიცებულებების თანახმად, ისრაელის ბოლო საჰაერო თავდასხმების შედეგად

დაღუპულთა რიცხვი „მოიცავდა ადამიანებს, რომლებიც, ისრაელის სამხედრო მითითებების შესაბამისად, სამხრეთისკენ გადაადგილდებოდნენ“; არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგიერთი მათგანი, ვინც ღაზას სამხრეთით გადაადგილდა, ბრუნდება ჩრდილოეთით სამხრეთში მიმდინარე საჰაერო თავდასხმებისა და თავშესაფრის არარსებობის გამო. გავრცელებული ინფორმაციით, ასობით დევნილი პალესტინელი, რომლებიც ღაზას სამხრეთით ხან იუნისში აღმოჩნდნენ, იძულებულნი არიან იცხოვრონ გაეროს მიერ მოწოდებულ კარვებში, სურათი, რომელიც ბევრისთვის ნაკბას კიდევ ერთი მტკივნეული შეხსენებაა. UNRWA-ის სპიკერი აცხადებს, რომ „დღეს ღაზაში უსაფრთხო ადგილი არ არსებობს“. ქაიროში სამშვიდობო სამიტზე იორდანიის მეფე აბდულა II-მ განაცხადა, რომ „პალესტინელების იძულებითი ან შიდა გადაადგილება ომის დანაშაული იქნება“. პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი აცხადებს: „ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ არ დავტოვებთ, არ დავტოვებთ, არ დავტოვებთ და დავრჩებით ჩვენს მიწაზე“.

პალესტინელები აკვირდებიან ისრაელის საჰაერო თავდასხმის შედეგად ღაზაში შენობის დანგრევას, ფოტო: მუჰამედ ზაანოუნი, ღაზა 2023.10.11. ყველა უფლება დაცულია.

21 ოქტომბერს, „პირველად 8 ოქტომბრის შემდეგ“, 20 სატვირთო მანქანისგან შემდგარი დახმარების კოლონა შემოვიდა რაფაჰის გამშვები პუნქტის გავლით. Associated Press-ის ცნობით, „200-ზე მეტი სატვირთო მანქანა, რომელსაც 3000 ტონა დახმარება გადმოჰქონდა სიახლოვეს იცდიდა რამდენიმე დღის განმავლობაში“. ეს სატვირთო მანქანები ატარებენ 44 000-ზე მეტ ბოთლ სასმელ წყალს, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საკმარისია 22000 ადამიანისთვის ერთი დღის განმავლობაში, მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP) მიერ მოწოდებულ "60 ტონა პირველად საკვებს", ისევე როგორც გარკვეულ სამედიცინო მარაგს დაახლოებით (იმ პერიოდისთვის) 1,4 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირისთვის. მარტინ გრიფიტსი, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ჰუმანიტარულ საკითხებში და გადაუდებელი დახმარების კოორდინატორი გამოთქვამს იმედს, რომ „ეს მიწოდება იქნება მდგრადი ძალისხმევის დასაწყისი, რათა ღაზის მოსახლეობა, რომლებიც „ათწლეულების განმავლობაში უძლებენ ტანჯვას“, უზრუნველყოფილი იყოს აუცილებელი მარაგებით - მათ შორის საკვებით, წყლით, მედიკამენტებით და საწვავით. გაეროს გენერალური მდივანი გუტერესი ავრცელებს მოწოდებას „ღაზას მოსახლეობისთვის საჭირო დახმარების უწყვეტი მიწოდებისთვის ბევრად მეტი ვალდებულების აღებაზე“. The Guardian-ში ციტირებული ერთ-ერთი ჰუმანიტარული დახმარების მუშაკი ამბობს, რომ „ის, რაც დღეს არის მიწოდებული, წვეთიც არ არის ზღვაში. ამ კრიზისის დაწყებამდე, ჩვეულებრივ ყოველდღიურად დაახლოებით 500 ჰუმანიტარული დახმარების სატვირთო მანქანა კვეთდა საზღვარს, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა მილიონობით ღაზის მცხოვრებისთვის, რომლებიც აქამდეც ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე იდგნენ. ჰუმანიტარული ოპერაციები ღაზას შიგნით კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

გავრცელებული ინფორმაციით, 21 ოქტომბერს ისრაელმა ჩრდილოეთ ღაზას მაცხოვრებლებისთვის გადაადგილების შესახებ მითითებები გაახშირა; Politico-ს თანახმად, სამხედროებმა ამ რაიონში ჩამოაგდეს ბროშურები, სადაც მითითებული იყო, რომ „ვინც არ აპირებს ევაკუაციას ღაზის სექტორის ჩრდილოეთიდან სამხრეთით, შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის თანამზრახველი“. გავრცელებული ინფორმაციით, 22 ოქტომბერს, 14 სატვირთო მანქანისგან შემდგარი მეორე კოლონა შევიდა რაფაჰის გადასასვლელის გავლით ღაზაში. არსებობს ცნობები 23 ოქტომბერს მესამე კოლონის შესახებ. 27 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საერთაშორისო სპეციალისტებისგან შემდგარი პირველ სამედიცინო ჯგუფი ღაზაში 10 ჰუმანიტარული დახმარების სატვირთო მანქანასთან ერთად შეუშვეს. 4 ნოემბრის მდგომარეობით, 21 ოქტომბრის შემდეგ ღაზაში 451 ჰუმანიტარული დახმარების კოლონა შევიდა; გავრცელებული ინფორმაციით, საომარი მოქმედებების დაწყებამდე ყოველ სამუშაო დღეს ღაზას სექტორში დაახლოებით 500 სატვირთო მანქანა აღწევდა. აქამდე არცერთს არ გადმოჰქონდა საწვავი; UNRWA–ის გენერალური კომისარი ფილიპ ლაზარინი იმეორებს, რომ საწვავის იმპორტი უნდა იყოს დაშვებული, წინააღმდეგ შემთხვევაში „არ იქნება ჰუმანიტარული რეაგირება, დახმარება ვერ მიაღწევს საჭიროების მქონდე ადამიანებამდე, ელექტროენერგია არ ექნებათ საავადმყოფოებს, არ იქნება წყალი, პური“. 27 ოქტომბერს CPJ-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 7-დან 27 ოქტომბრის ჩათვლით კვირები „ყველაზე მომაკვდინებელი პერიოდი იყო კონფლიქტურ ზონებში მომუშავე ჟურნალისტებისთვის მას შემგდომ, რაც CPJ-მ დაიწყო მსხვერპლების აღრიცხვა 1992 წელს“. როგორც მინიმუმ, ამ პერიოდში დაიღუპა 29 ჟურნალისტი.

28 ოქტომბერს შუადღისას, ღაზას სექტორში კომუნიკაციების გათიშვის პირობებში, ისრაელის სამხედროებმა გამოაქვეყნეს განცხადება X-ზე (ყოფილი Twitter) ინგლისურად, სადაც ჩრდილოეთ ღაზის მაცხოვრებლებს მოუწოდეს „დროებით გადაადგილდნენ სამხრეთით“, იმაზე მითითებით, რომ „ღაზის ჩრდილოეთ ნაწილში დაბრუნება შესაძლებელი იქნება ინტენსიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ“ და რომ, მათი „მოქმედების ფანჯარა იხურება“. პალესტინის წითელი ჯვრის ცნობით, 29 ოქტომბერს ისრაელის სამხედროებმა ღაზაში მდებარე ალ-ქუდსის ჰოსპიტალის „დაუყოვნებლივი

ევაკუაცია“ მოითხოვეს, რის გამოც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა გებრეიესუსმა გასცა გაფრთხილება, რომ „შეუძლებელია პაციენტებით სავსე საავადმყოფოების ევაკუაცია მათი სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.“. OCHA ასევე იუწყება, რომ ბოლო დღეებში „ქალაქ ღაზაში და ჩრდილოეთ ღაზაში ცამეტივე საავადმყოფომ მიიღო განმეორებითი ევაკუაციის ბრძანება“ და რომ, ისრაელის სამხედროებმა, გავრცელებული ინფორმაციით, საჰაერო თავდასხმა განახორციელეს ქალაქ ღაზაში ალ-ქუდსის და ალ-შიფას საავადმყოფოების მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე ინდონეზიურ საავადმყოფოზე ბეიტ ლაჰიაში. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის დაზვერვის სამინისტროს მიერ შედგენილი დოკუმენტი ღაზის მაცხოვრებლების ეგვიპტეში, სინაის ნახევარკუნძულზე გადასახლებაზე საუბრობს.

პირველ ნოემბერს, 300-ზე მეტ უცხოური პასპორტის მფლობელს და ათეულობით დაშავებულ და დაავადებულ ადამიანს მიეცა ეგვიპტეში რაფაჰის გადასასვლელის გავლით შესვლის უფლება. გავრცელებული ინფორმაციით, იმავე დღეს, თურქეთ-პალესტინის მეგობრობის საავადმყოფომ, ღაზას მთავარმა საავადმყოფომ, რომელიც კიბოს მკურნალობას სთავაზობს პაციენტებს, შეწყვიტა ფუნქციონირება საწვავის ამოწურვის გამო. BBC-ის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ სულ მცირე სამჯერ ისრაელის საჰაერო რაკეტები მოხვდა „ბუნდოვნად განსაზღვრულ ტერიტორიებს“, რა მიმართულებით გადაადგილებისკენაც სამხედროებმა ღაზას მაცხოვრებლებს თავიანთი უსაფრთხოების დასაცავად მოუწოდეს. 2 ნოემბერს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა გებრეიესუსმა გამოაქვეყნა ვიდეო X-ზე (ყოფილი Twitter), სადაც აღწერილია ღაზაში არსებული ვითარება. აღნიშნა რა, რომ საომარი მოქმედებების დაწყებიდან ათასობით ადამიანი დაიღუპა, მან დაამატა: „ახლა უკვე გვიანია დაღუპულთა დახმარება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ცოცხლებს. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ, ვინც ყოველ წამს შიშში ცხოვრობს. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ დაშავებულ მოქალაქეებს. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ თითქმის 200 ქალს, რომლებიც ყოველდღიურად მშობიარობენ. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს და მოხუცებს. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ, ვისაც აქვს სიცოცხლისთვის საშიში დაავადებები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. საბოლოო გამოსავალი ერთია, რასაც ჩვენ ვერ ვუზრუნველყოფთ: მშვიდობა.” 3 ნოემბერს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ „დახურულია 14 საავადმყოფო და 45 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი [ღაზაში]“, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვება პაციენტებისთვის, განსაკუთრებით ჩვილებისთვის, ბავშვებისა და ქალებისთვის, რომლებიც იძულებული არიან „იმშობიარონ თავშესაფრებში, სახლებში, ქუჩებში, ნანგრევებში, ან გადატვირთულ ჯანდაცვის დაწესებულებებში, სადაც სანიტარული მდგომარეობა უარესდება და ინფექციების და სამედიცინო გართულებების რისკი იზრდება“. გავრცელებული ინფორმაციით, 5 ნოემბერს ღაზაში ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტ სერვისები კვლავ შეწყდა.

ალკარამას უბანი, რომელიც განადგურდა ისრაელის საჰაერო თავდასხმების შედეგად, ქალაქი ღაზა. ფოტო: მუჰამედ ზაანოუნი, 2023.10.11. ყველა უფლება დაცულია.

მოვლენების განვითარება ლიბანის საზღვართან და რეგიონში

ისრაელ-ლიბანის საზღვარი კიდევ ერთი "ოპერაციების ზონა" გახდა, სარაკეტო თავდასხმებით და სამხრეთ ლიბანიდან ისრაელში შეღწევით, ასევე ისრაელის მხრიდან ლიბანის დაბომბვით, რაც უფრო ფართო რეგიონული შეტაკებების, მათ შორის კონფლიქტში ირანის მიერ დაფინანსებული ლიბანის შეიარაღებული დაჯგუფების ჰეზბოლას ჩართვის რისკებს ზრდის. ჰეზბოლა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კარგად აღჭურვილ და ძლიერ სამხედრო ძალად ითვლება. გავრცელებული ინფორმაციით, 10 ოქტომბერს სირიიდან ჭურვები და რაკეტები გაისროლეს, რასაც ისრაელის სამხედროების საპასუხო ცეცხლი მოჰყვა. 12 ოქტომბერს ისრაელმა დაარტყა დამასკოსა და ალეპოს აეროპორტებს. გავრცელებული ინფორმაციით, 13 ოქტომბერს, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანი შეხვდა ჰეზბოლას გენერალურ მდივანს ჰასან ნასრალას ბეირუთში. ამირ-აბდოლაჰიანმა განაცხადა, რომ ომი შეიძლება გავრცელდეს რეგიონის სხვა ნაწილებზეც, თუ ისრაელის თავდასხმები ღაზაზე გაგრძელდება. იმავე დღე ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანის დაბომბვის შედეგად დაიღუპა ისამ აბდალა, Reuters-ის ჟურნალისტი და დაშავდა ექვსი ადამიანი. RSF-ის მიერ ჩატარებული გამოძიება ვარაუდობს, რომ ეს მოჰყვა ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებულ ორ საჰაერო დარტყმას, რაც „აშკარად მიუთითებს ზუსტ დამიზნებაზე“; მათ ეცვათ პრესის ჟილეტები და ჩაფხუტები, ასევე მათ სატრანსპორტო საშუალებას სახურავზე წარწერა „პრესა“ ჰქონდა.

გავრცელებული ინფორმაციით, 14 ოქტომბერს სირიის ტერიტორიიდან რაკეტები გაისროლეს, რასაც ისრაელის საარტილერიო დარტყმა მოჰყვა; ისრაელის სამხედროებმა კვლავ ალეპოს აეროპორტს დაარტყეს. ისრაელ-ლიბანის საზღვარზე შეტაკებები მძაფრდება; გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელი ქმნის 4 კილომეტრიან „ბუფერულ ზონას“ საზღვრის გასწვრივ და ემზადება მოსახლეობის ევაკუაციისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, 17 ოქტომბერს ჰეზბოლამ გაისროლა ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა ჩრდილოეთ ისრაელში, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაშავდა; დაჯგუფების ხუთი წევრი მოგვიანებით ისრაელის თავდასხმის შედეგად დაიღუპა. 19 ოქტომბერს ჰეზბოლამ და ჰამასმა ლიბანიდან ათობით რაკეტა გაისროლეს ჩრდილოეთ ისრაელის მიმართულებით; ისრაელმა საპასუხო

დარტყმები განახორციელა. 20 ოქტომბერს ისრაელის სამხედრო ტანკსაწინააღმდეგო სროლის შედეგად დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, 21 ოქტომბერს დაიღუპა ჰეზბოლას ექვსი წევრი და PIJ-ის ერთი წევრი. ისრაელის ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრი ნირ ბარკატი იმუქრება, რომ თუ ჰეზბოლა ომს შეუერთდება, ისრაელი არა მხოლოდ შურს იძიებს, არამედ თავს დაესხმება ირანსაც. 22 ოქტომბერს სირიის სახელმწიფო მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ისრაელის სამხედროებმა კვლავ დაარტყეს ალეპოსა და დამასკოს აეროპორტებს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თანახმად, ისრაელ-ლიბანის საზღვარზე შეტაკებებმა ლიბანის შიგნით თითქმის 29 000 ადამიანის გადაადგილება გამოიწვია. 27 ოქტომბერს, შეერთებულმა შტატებმა სირიასა და ერაყში აშშ-ს ბაზებზე მანამდე განხორციელებული თავდასხმების საპასუხოდ შეუტია სირიაში მდებარე ობიექტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ირანის რევოლუციური გვარდიის კორპუსთან (IRGC) და მოკავშირე სამხედრო დაჯგუფებებთან. 29 ოქტომბერს ისრაელის სამხედროებმა ლიბანში ობიექტებს დაარტყეს ლიბანის მხრიდან სარაკეტო სროლის საპასუხოდ. 30 ოქტომბერს ისრაელი კვლავ ახორციელებს დარტყმებს სირიასა და ლიბანში სარაკეტო სროლების საპასუხოდ; იმავე დღეს, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სირიაში გეირ პედერსენი ამბობს, რომ საომარი მოქმედებები უკვე გავრცელდა სირიაზეც და "პოტენციური უფრო ფართო ესკალაციის შემზარავი პერსპექტივის შესახებ" იძლევა გაფრთხილებას.

გავრცელებული ინფორმაციით, 31 ოქტომბერს, ირანის მიერ მხარდაჭერილმა დაჯგუფებამ იემენიდან Ansar Allah-მა (ცნობილია როგორც ჰუთიტები) აიღო პასუხისმგებლობა წითელ ზღვაზე ისრაელის საპორტო ქალაქ ეილათის მიმართულებით გასროლილ რაკეტებზე, რომლებიც ისრაელის სამხედროებმა შეაკავეს. Amnesty International კვლავ იუწყება, რომ ისრაელის სამხედროებმა არაერთხელ გამოიყენეს თეთრი ფოსფორი სამხრეთ ლიბანში. 2 ნოემბერს ისრაელ-ლიბანის საზღვრის გასწვრივ ვითარება გაუარესდა, საომარი მოქმედებების დაწყებიდან ყველაზე ძლიერი დარტყმები დაფიქსირდა ჰეზბოლას მხრიდან ისრაელის პოზიციებზე, რასაც მოჰყვა ისრაელის შურისძიება სამხრეთ ლიბანში. 3 ნოემბერს ჰეზბოლას გენერალურმა მდივანმა ნასრალამ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ პირველ საჯარო განცხადება გააკეთა. ერთ საათზე უფრო გრძელ გამოსვლაში ის ამბობს, რომ ჰეზბოლა „უკვე 8 ოქტომბერს შეუერთდა ბრძოლას“; მიუხედავად იმისა, რომ ის "ყველანაირ განვითარებას უშვებს", ცხელი წერტილების გაფართოების ჩათვლით, ის, როგორც ჩანს, ამას დამოკიდებულს ხდის ღაზაში მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. ზოგიერთმა ანალიტიკოსმა ეს ამ დროისთვის ჩრდილოეთ ფრონტზე თავშეკავების ნიშნად ჩათვალა. 5 ნოემბერს, სამხრეთ ლიბანში ისრაელიდან გასროლილი რაკეტა მოხვდა მანქანას, რის შედეგადაც, გავრცელებული ინფორმაციით, დაიღუპა სამი ბავშვი და მათი ბებია, დაშავდა დედა - მშვიდობიანი მოქალაქეები; ჰეზბოლამ კირიათ შმონაზე სარაკეტო დარტყმით უპასუხა..

მზარდი ძალადობა და შევიწროება დასავლეთ სანაპიროზე მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში

ღაზასა და ისრაელში საომარი მოქმედებების კატასტროფულმა შედეგებმა გააღვივა დაპირისპირებები ისრაელის სამხედროებსა და ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე, მათ შორის ანექსირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმში, მცხოვრებ პალესტინელებს შორის. 5 ნოემბრის მდგომარეობით, ისრაელის სამხედრო მოქმედებების შედეგად დაიღუპა 141 პალესტინელი, მათ შორის 43 ბავშვი, დაზიანდა 2322 ადამიანი, მათ შორის სულ მცირე 244 ბავშვი. ამავე პერიოდში ისრაელელმა დასახლებულებმა მოკლეს რვა პალესტინელი, მათ შორის ერთი ბავშვი, დაჭრეს 64 ადამიანი. 9-დან 15 ოქტომბრამდე „დასავლეთ სანაპიროს პალესტინელებისთვის ყველაზე მომაკვდინებელი… კვირა იყო მას შემდეგ, რაც 2005 წელს OCHA-მ დაიწყო მსხვერპლების აღრიცხვა“ (16 ოქტომბრის ანგარიშის თანახმად). გარდა ამისა, 5 ნოემბრის მდგომარეობით, „7 ოქტომბრის შემდეგ დასავლეთ სანაპიროზე დაღუპული პალესტინელების რაოდენობა შეადგენს 2023 წლია განმავლობაში დასავლეთ სანაპიროზე დაღუპული პალესტინელების მესამედზე მეტს“.

ჰამასი მოწოდებას აკეთებს 13 ოქტომბერს "ბრაზის დღის" აღნიშვნასთან დაკავშირებით; მხოლოდ ამ დღეს, ღამის განმავლობაში, ისრაელის ძალების მოქმედებებს 13 პალესტინელი ემსხვერპლა, მათ შორის ოთხი ბავშვი და ერთი ქალი, დასავლეთ სანაპიროზე, აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით, ძირითადად საპროტესტო აქციების დროს. 19 და 20 ოქტომბერს ისრაელის სამხედრო ძალებმა განახორციელეს ოპერაცია ნურ შამსის ლტოლვილთა ბანაკში თულკარმის მახლობლად, ჩრდილო-დასავლეთ დასავლეთ სანაპიროზე. OCHA-ს ინფორმაციით, დაიღუპა 13 პალესტინელი, მათ შორის 6 ბავშვი, დაშავდა 62; ასევე დაიღუპა ისრაელის შეიარაღებული ძალების ერთი წევრი და დაშავდა 9. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის სამხედრო ძალებმა ბანაკზე საჰაერო დარტყმა განახორციელეს; UNRWA მტკიცებულებებით აჩვენებს სახლებსა და ინფრასტრუქტურებზე მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანს. 22 ოქტომბერს „ტერორისტული თავდასხმის მყისიერ საფრთხეზე მითითებით“ ისრაელის არმიამ საჰაერო დარტყმა მიიტანა ჯენინის ლტოლვილთა ბანაკზე ჩრდილოეთ დასავლეთ სანაპიროზე. მათი მტკიცებით, ტერორისტული თავდასხმა იგეგმებოდა ალ-ანსარ მეჩეთის ქვეშ განთავსებულ სივრცეში, რომელიც ჰამასს და PIJ-ს ეკუთვნია, და რომელსაც ისრაელმა დაარტყა; გავრცელებული ინფორმაციით, დაიღუპა ორი ადამიანი. ეს დარტყმა 2000-იანი წლების დასაწყისში მეორე ინტიფადას შემდგომ დასავლეთ სანაპიროზე სამხედრო თვითმფრინავის გამოყენების პირველი შემთხვევაა. გავრცელებული ინფორმაციით, 25 ოქტომბერს ისრაელის ძალებმა განახორციელეს მორიგი იერიში ჯენინის ლტოლვილთა ბანაკში და დრონი ჩამოაგდეს, რის შედეგადაც დაიღუპა ოთხი პალესტინელი, მათ შორის ორი ბავშვი - 15 და 17 წლის.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია დასავლეთ სანაპიროზე და აღმოსავლეთ იერუსალიმში მაცხოვრებლებისთვის წვდომისა და გადაადგილების შეზღუდვების, მათ შორის „გზების ჩაკეტვის, გამშვები პუნქტების და საგზაო ბლოკების“ შესახებ. ვარაუდობენ, რომ დასავლეთ სანაპიროზე 1000-ზე მეტი პალესტინელია დაკავებული. იმატებს ცნობები ისრაელის პოლიციის მიერ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული პოსტების გამო აღმოსავლეთ იერუსალიმელებისა და ისრაელის პალესტინელი მოქალაქეების დაკავების, ასევე შრომითი კონტრაქტებისა და სტუდენტების სტატუსის შეჩერების შესახებ, სხვა შემაშფოთებელ ზომებთან ერთად. სერიოზული საფრთხის წინაშეა ისრაელში მომუშავე ღაზას მოქალაქეების ფიზიკური უსაფრთხოება და კეთილდღეობა, რომელთაგან, გავრცელებული ინფორმაციით, დაახლოებით 4000 (ამ რიცხვზე მიუთითებს ისრაელის მედია) დააკავა ისრაელის ხელისუფლებამ მას შემდეგ, რაც მათ სამუშაო ნებართვები გაუუქმდათ 7 ოქტომბრის ჰამასის თავდასხმის შემდეგ. ჩვენებები მიუთითებენ, რომ პატიმრობაში მყოფი პირები არასათანადო მოპყრობას ექვემდებარებიან. გავრცელებული ინფორმაციით, 3 ნოემბერს, ისრაელის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილების შემდეგ, ათასობით ღაზის მოქალაქე ქერემ შალომის გადასასვლელის გავლით ღაზის სექტორში გაგზავნეს; უცნობია, არიან თუ არა სხვები, რომლებიც ისრაელში დაკავებული რჩებიან.

ასევე არსებობს ცნობები ისრაელელი დასახლებულების ძალადობრივი განგრძობადი თავდასხმების შესახებ, 7 ოქტომბრის შემდეგ მთლიანობაში დაფიქსირდა 202 თავდასხმა, რომელთაგან 28-ს მსხვერპლი მოჰყვა, 141-ს მატერიალური ზიანი და 33-ს ორივე. ერთ შემთხვევაში, ხუთი პალესტინელი (მათ შორის ერთი ბავშვი) მოკლეს დასახლებულებმა ქუსრაში, ნაბლუსთან ახლოს; დასახლებულები ასევე დაემუქრნენ მთელ სოფელს. გავრცელებული ინფორმაციით, 12 ოქტომბერს ისრაელელმა ჯარისკაცებმა და დასახლებულებმა რამდენიმე საათის განმავლობაში დააკავეს სამი პალესტინელი, ხელბორკილები დაადეს, გააშიშვლეს, საცვლების ამარა დატოვეს, სასტიკად სცემეს, ფოტოები გადაუღეს, სხვა არასათანადო მოპყრობასთან ერთად; მათ ასევე დააკავეს, ხელბორკილები დაადეს და დაემუქრნენ ისრაელელ აქტივისტებს, რომლებიც სამი საათის შემდეგ გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციით, 13 ოქტომბერს ერთმა დასახლებულმა ახლო მანძილიდან ესროლა პალესტინელს ჰებრონის მახლობლად, როდესაც ისრაელელი ჯარისკაცი იქვე იდგა. OCHA-ს ვარაუდობს, რომ დასახლებულთა ძალადობამ, მუქარამ და გადაადგილების შეზღუდვამ გამოიწვია დაახლოებით 905 პალესტინელის

იძულებით გადასახლება, მათ შორის 356 ბავშვის, მესაქონლეობით დაკავებული 15-ზე მეტი თემის; კიდევ 120 პალესტინელი, მათ შორის 55 ბავშვი, გახდა იძულებით გადაადგილებული პირი ისრაელის ხელისუფლების მიერ სახლების დემონტაჟის გამო. გავრცელებული ინფორმაციით, 28 ოქტომბერს, ისრაელელმა ერთმა დასახლებულმა ესროლა და მოკლა პალესტინელი, რომელიც ზეთისხილის მოსავალს იღებდა. 29 ოქტომბერს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც დაგმო დასახლებულების ძალადობრივი თავდასხმები და მოუწოდა ისრაელის ხელისუფლებას დაიცვას დაზარალებული პალესტინელი თემები. იმავე დღეს, ისრაელში რეგისტრირებულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფმა გამოაქვეყნა ერთობლივი წერილი, რომელშიც ისინი დასახლებულების ძალადობის ფონზე „საერთაშორისო საზოგადოების მკაფიო, ძლიერ და პირდაპირ ინტერვენციას“ ითხოვენ. მათი მტკიცებით, ძალადობას ისრაელის მთავრობა ვერ აჩერებს, მეტიც, მხარს უჭერს მას. აშშ-ს პრეზიდენტმა ბაიდენმა ასევე დაგმო დასავლეთ სანაპიროზე დასახლებულთა ძალადობრივი თავდასხმების ზრდა.

პირველ ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგეგმება რელიგიური სიონიზმის პარტიიდან ულტრანაციონალისტი ქნესეთის წევრის ზვი სუკოტის (რომელიც დასავლეთ სანაპიროზე ნაბლუსის მახლობლად მდებარე დასახლებაში იცჰარში ცხოვრობს) დანიშვნა დასავლეთ სანაპიროზე ქვეკომიტეტის თავჯდომარედ, მას შემდგომ, რაც ის 30 ოქტომბერს ქნესეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის კომიტეტის წევრი გახდა.

ფოტო: მუჰამედ ზაანოუნი, ღაზა (ალ-რიმალი, ქალაქი ღაზა), 8 ოქტომბერი 2023. *ყველა უფლება დაცულია.*

საერთაშორისო გამოხმაურება

ჰამასის თავდასხმების ფონზე, ისრაელს არაერთმა დასავლეთის მოკავშირე სახელმწიფომ გამოუცხადა სოლიდარობა. 9 ოქტომბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა სუნაკმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა, გერმანიის კანცლერმა შოლცმა და იტალიის პრემიერ-მინისტრმა მელონმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, სადაც მიუთითებენ მათ "ურყევ და ერთიან მხარდაჭერაზე ისრაელის სახელმწიფოსადმი და ... ცალსახად გმობენ ჰამასს და მის შემზარავ ტერორისტულ აქტებს“. 9 ოქტომბერს გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერესმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ”ბოლო ძალადობის ფაქტები არ მომხდარა ვაკუუმში. რეალობა ისაა, რომ ის წარმოიშვა ხანგრძლივი კონფლიქტის შედეგად, 56-წლიანი ოკუპაციისა და პოლიტიკური გადაწყვეტის არარსებობის ფონზე.“ აშშ-მ ხმელთაშუა

ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გადაიყვანა „USS Gerald R Ford ავიამზიდი, სარაკეტო კრეისერი და ოთხი სარაკეტო გამანადგურებელი“, ასევე მოიერიშე თვითმფრინავები და ისრაელის სამხედრო აღჭურვილობითა და საბრძოლო მასალით მომარაგება დაიწყო. 14 ოქტომბერს აშშ-მ ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი ავიამზიდი გაგზავნა.

გერმანია და დიდი ბრიტანეთიც სთავაზობენ სამხედრო დახმარებას ისრაელს. ევროკავშირი აცხადებს, რომ პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისთვის განვითარების დახმარების შესახებ პოლიტიკას გადახედავს, რა გადაწყვეტილებამაც ასეთი დახმარების შეჩერების შესახებ ადრინდელი საჯარო განცხადება ჩაანაცვლა - ეს ნაბიჯი ადგილობრივ დონეზე გადადგა გერმანიამ და ავსტრიამ. ევროკავშირის მიერ 15 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზგასმულია „ისრაელის უფლება, დაიცვას თავი ჰუმანიტარული და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად [sic]“ და „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების შესაბამისად, ნებისმიერ დროს ყველა მშვიდობიანი მოქალაქის დაცვის მნიშვნელობა“. ისრაელში პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუსთან შეხვედრისას სუნაკმა დაადასტურა, რომ დიდ ბრიტანეთს სურს ისრაელის "გამარჯვება". 19 ოქტომბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს „ჰუმანიტარული პაუზისკენ, დეესკალაციისკენ და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სრული დაცვისკენ მოწოდებას“. გავრცელებული ინფორმაციით, იმავე დღეს, იემენიდან გასროლილი რაკეტები აშშ-ს სამხედრო ხომალდმა შეაკავა. აშშ შეშფოთებულია, რომ ისინი პოტენციურად ისრაელისკენ იყო მიმართული. 21 ოქტომბერს პენტაგონმა განაცხადა, რომ ის რეგიონში მეტ საჰაერო თავდაცვის სისტემას განათავსებს.

24 ოქტომბერს - "გაეროს დღეს", 1945 წელს გაეროს ქარტიის ძალაში შესვლიდან 78 წლის აღსანიშნავად - გაეროს გენერალური მდივანი გუტერესი სიტყვით გამოვიდა უშიშროების საბჭოში და აღნიშნა, რომ ის "ცალსახად გმობს ჰამასის მიერ განხორციელებულ 7 ოქტომბრის შემზარავ და უპრეცედენტო ტერორისტულ აქტებს ისრაელში“ და რომ „არაფერი გაამართლებს მშვიდობიანი მოსახლეობის განზრახ მკვლელობას, მათზე თავდასხმას და გატაცებას – ან სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ რაკეტების გაშვებას“. ის აღნიშნავს, რომ "ჰამასის თავდასხმები ვაკუუმში არ მომხდარა" - "პალესტინელი ხალხი 56 წელია ექვემდებარება უმძიმეს საოკუპაციო რეჟიმს" - იქვე განმარტა, რომ "პალესტინელი ხალხის არასამათლიანი მოპრყობის განცდა ვერ გაამართლებს ჰამასის შემზარავ თავდასხმებს. და ეს საშინელი თავდასხმები ვერ გაამართლებს პალესტინელი ხალხის კოლექტიურ დასჯას.” ამ გამოსვლას ისრაელის ოფიციალური პირები უარყოფითად შეხვდნენ. ისრაელის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში, გილად ერდანმა, გუტერესს გადადგომისკენ მოუწოდა, გაეროს თანამშრომლებისთვის ვიზებზე უარის თქმით დაემუქრა, ასევე პირობა დადო, რომ "მათ გაკვეთილს ასწავლის".

ფოტო: მუჰამედ ზაანოუნი, ღაზა (ალ-რიმალი, ქალაქი ღაზა), 8 ოქტომბერი 2023. *ყველა უფლება დაცულია.*

გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეერთებული შტატები ისრაელს ორ „რკინის გუმბათის“ სარაკეტო თავდაცვის სისტემას გაუგზავნის. ავსტრალიის პრემიერ მინისტრ ენტონი ალბანესთან შეხვედრის დროს აშშ-ს პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ „6 ოქტომბრამდე არსებულ სტატუს ქვოში დაბრუნება შეუძლებელია“ და „როდესაც ეს კრიზისი დასრულდება, უნდა არსებობდეს ხედვა იმის შესახებ, თუ რა მოხდება შემდგომ“, რომელიც უნდა იყოს „ორი სახელმწიფოს პრინციპზე დაფუძნებული გადაწყვეტა“. უშიშროების საბჭომ - გაეროს ორგანომ, რომელსაც ევალება „შეინარჩუნოს ან აღადგინოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება“, და მინიჭებული აქვს აღმასრულებელი უფლებამოსილებები გაეროს ქარტიის VII თავის მიხედვით, უკვე ორჯერ ვერ შეძლო სამარი მოქმედებების შესახებ რეზოლუციის მიღება; 27 ოქტომბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ (რომელიც უშიშროების საბჭოსგან განსხვავებით სათათბირო ორგანოა) მიიღო რეზოლუცია 193 წევრი სახელმწიფოდან 121-ის მხარდაჭერით, რომელიც „მხარეებს დაუყოვნებლივი, გრძელვადიანი და მდგრადი ჰუმანიტარულ ზავისკენ მოუწოდებს, რომელსაც სამარი მოქმედებების შეწყვეტა“, ყველა მხარის მიერ საერთაშორისო სამართლის სრული დაცვა, „არალეგალურად ტყვეობაში მყოფი ყველა მშვიდობიანი მოქალაქეების დაუყოვნებელი და უპირობო გათავისუფლება“ და „ღაზაში პირველადი მოხმარების ნივთების და მომსახურების დაუყოვნებელი, უწყვეტი, საკმარისი და შეუფერხებელი მიწოდება მოჰყვება“. კანადის დელეგაციის მიერ ინიცირებული შესწორება, რომელიც „ჰამასის მიერ ისრაელში 2023 წლის 7 ოქტომბერს დაწყებულ ტერორისტულ თავდასხმებს და მძევლების აყვანას ერთმნიშვნელოვნად გმობდა“, და მათ „დაუყოვნებელ და უპირობო გათავისუფლებას ითხოვდა“ არ იქნა მიღებული.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროკურორი კარიმ ხანი ეწვია რაფაჰის გადასასვლელს ეგვიპტესა და ღაზას შორის, და მწუხარებით დასძინა, რომ მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებზე აშენებული საერთაშორისო წყობა ემსახურებოდა ინსტიტუტების შექმნას, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ, რომ ასეთი შემზარავი ფაქტების პრევენცია, როდესაც ადამიანები ხდებიან სამიზნე მათი რასის, რელიგიის, კულტურის, წარმოშობის, მიკუთვნებულობის გამო.” ის ხაზს უსვამს, რომ „ბავშვებისთვის, ქალებისა და მამაკაცებისთვის, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებისას შეფერხებები დაუშვებელია. ისინი უდანაშაულო არიან, [და] მათ აქვთ უფლებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით”, რომლის უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რომის სტატუტის საფუძველზე.

31 ოქტომბერს ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ესპენ ბარტ ეიდემ Reuters-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ნორვეგიის შეფასებით ისრაელის მხრიდან „იყო შემთხვევები, როდესაც … პროპორციულობის და … განსხვავების პრინციპები სრულად არ იქნა დაცული“ რაც გულისხმობს საომარი მოქმედებების დროს მოქმედ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ორ ფუძემდებლურ პრინციპს. იმავე დღეს, ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა „[ჰამასის თავდასხმებზე] ისრაელის პასუხის საერთაშორისო სამართლის ფარგლებში“ განხორციელების მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმას, რომ „მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე დაცული იყოს და ჰუმანიტარული დახმარება ღაზას სექტორამდე აღწევდეს“. ღაზაში მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის მზარდი რაოდენობის ფონზე, რამდენიმე ქვეყანამ ისრაელიდან თავიანთი ელჩები გამოიწვია, მათ შორის თურქეთმა, იორდანიამ, ბაჰრეინმა, ჰონდურასმა, ჩილემ, კოლუმბიამ და სამხრეთ აფრიკამ; ბოლივიამ ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. 2 ნოემბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ ის "ჰუმანიტარული "პაუზის" მომხრეა. გაბრიელ ბორიჩი, ჩილეს პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ „უდავოდ… [ისრაელის] პასუხი არაპროპორციული იყო და… დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“. ბორიჩი კატეგორიულად გმობს ჰამასის შეიარაღებული ჯგუფების თავდასხმებს და მძევლების უპირობო გათავისუფლებისკენ მოუწოდებს, ხაზს უსვამს, რომ მისი აზრით არ არის საჭირო არჩევანის გაკეთება ორ მხარეს შორის; ის აცხადებს: „ჩვენ ვირჩევთ ჰუმანიზმს“. 5 ნოემბერს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკატერინე კოლონამ, მოუწოდა მხარეებს „დაუყოვნებლივი ჰუმანიტარული ზავის“ განხორციელებისკენ. გავრცელებული ინფორმაციით, აშშ რეგიონში ბირთვულ წყალქვეშა ნავს გზავნის.